ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6379869

ნომერი: AR1954885

თარიღი : 14.03.2023

გაცემის თარიღი : 22.03.2023

გაცნობის თარიღი : 22.03.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , მე-12 კმ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევანი წოწკოლაური პ/ნ 01005021836
- თბილისი ალ.მირცხულავას ქ. N 1 ბ. 38

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 დეკემბრის №6255886 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 14 მარტს №AR1954885 განცხადებით მომართა ლევანი წოწკოლაურმა და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 27

დეკემბრის №6255886 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება საპროექტო ობიექტის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 27 დეკემბრის №6255886 ბრძანებით №01.72.14.013.636 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე 2 (ორი) საწყობის მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2022 წლის 27 დეკემბრის №6255886 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას და საპროექტო ობიექტად საწყობის ნაცვლად 2 (ორი) საწყობის დაფიქსირებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2022 წლის 26 ოქტომბრის №AR1930701 განცხადებით 2 (ორი) საწყობის მშენებლობის მიზნით მოთხოვნილ იქნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება. ამასთან, აღნიშნულ განცხადებაზე, განმცხადებლის მიერ სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარმოდგენილ იქნა საინფორმაციო დაფა და შენობის განთავსების სქემა, სადაც საპროექტო ობიექტად მითითებულ იქნა 2 (ორი) საწყობი. სამსახურმა განიხილა აღნიშნული საკითხი და დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა, თუმცა, სამსახურის 2022 წლის 27 დეკემბრის №6255886 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად 2 (ორი) საწყობის ნაცვლად 1 (ერთი) საწყობი დაფიქსირდა. ამასთან, სამსახურში ფიქსირდება №AR1947320 განცხადება 2 (ორი) საწყობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით. სამსახურმა, ასევე, დაადგინა, რომ აღნიშნულ ბრძანებაში საპროექტო ობიექტის ველში მითითებულ უნდა იქნას 2 (ორი) საწყობი. ხოლო, ფუნქცია/დანიშნულების ველში მითითებულ უნდა იქნას სამეურნეო და საწარმოო ობიექტები.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 დეკემბრის №6255886 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 დეკემბრის №6255886 ბრძანებაში და:
1.1. საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს 2 (ორი) საწყობი.
1.2. ფუნქცია/დანიშნულების ველში დაფიქსირდეს სამეურნეო და საწარმოო ობიექტები.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 დეკემბრის №6255886 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 დეკემბრის №6255886 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.